პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში (2014-2018)

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები

Delivering Progress

გამოცემა #110/ 15.04.2019

საქართველოში 2014-2018 წლებში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) მონაცემების ანალიზის ზოგადი მიგნებებია:

- 2018 წელს, ყველაზე დიდი ოდენობით FDI საფინანსო, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის და ენერგეტიკის სექტორებმა მოიზიდა;
- 2018 წელს, აზერბაიჯანმა, დიდმა ბრიტანეთმა და ნიდერლანდებმა ყველაზე დიდი ოდენობით FDI განახორციელეს საქართველოში;
- უკანასკნელი 5 წლის ჯამურ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (28.4%) FDI-სთვის ყველაზე მიმზიდველი სექტორია, ხოლო სოფლის მეურნეობა (0.8%) ყველაზე ნაკლებად მიმზიდველი;
- უკანასკნელი 5 წლის ჯამურ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, ყველაზე დიდი ოდენობით ინვესტიცია საქართველოში შემდეგი ქვეყნებიდან განხორციელდა: აზერბაიჯანი, ნიდერლანდები, დიდი ბრიტანეთი, თურქეთი, აშშ.
- ჩინეთის და ევროკავშირის ქვეყნების წილი საქართველოს FDI-ში 2017 წლიდან იზრდება;
- 2017-2018 წლებში რეინვესტირების წილი მთლიან FDI-ში იზრდება, ხოლო სააქციო კაპიტალის და სავალო ვალდებულებების წილი მცირდება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, 2014-2018



პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში სექტორების მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

წინასწარ მონაცემებზე დაყრდნობით, 2018 წელს, საქართველოში განხორციელებულმა FDI-მ 1,232 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, აღნიშნული 2017 წლის მაჩვენებელს 34.9%-ით (662 მლნ აშშ დოლარი) ჩამოუვარდება. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდობით, აღნიშნული შემცირების ძირითად გამომწვევ მიზეზებად სახელდება მაგისტრალური გაზსადენის პროექტის დასრულება, რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტების საკუთრებაში და არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორების მიმართ ვალდებულებების შემცირება.

2015 წლიდან, 2017 წლის გამოკლებით, საქართველოში განხორციელებული FDI უარყოფითი დინამიკით ხასიათდება. 2017 წელს, 2016 წელთან შედარებით, FDI-ის მოცულობა 21%-ით გაიზარდა და 1,894 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ხოლო 2018 წლის მაჩვენებელი - ყველაზე დაბალი.

სექტორული ანალიზი გვიჩვენებს, რომ 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, საქართველოში განხორციელებული FDI-ს 34.9%-იანი კლება გამოიწვია FDI-ს კლებამ ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის (-64.3%; -315 მლნ აშშ დოლარი), მშენებლობის (-63.4%, -179 მლნ აშშ დოლარი), უძრავ ქონების (-50.6%; - 92 მლნ აშშ დოლარი), ენერგეტიკის (-29.9%; -67 მლნ აშშ დოლარი) და საფინანსო (-8.2%, -25 მლნ აშშ დოლარი) სექტორებში.

2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, ყველაზე მაღალი ზრდის ტემპი დაფიქსირდა ჯანდაცვასა და სოციალური დახმარების სექტორში განხორციელებულ FDI-ში (82.1%; 6 მლნ აშშ დოლარი). ასევე, მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის (44.3%; 44 მლნ აშშ დოლარი), სამთომოპოვებითი მრეწველობის (28.9%; 15 მლნ აშშ დოლარი) და სოფლის მეურნეობის (28.7%; 4 მლნ აშშ დოლარი) სექტორებში.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში სექტორების მიხედვით



2018 წელს სამ ყველაზე დიდ სექტორში განხორციელებული FDI 2014-2018 წლებში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2018 წელს, ყველაზე დიდი მოცულობით FDI საფინანსო სექტორში განხორციელდა, რამაც 277.9 მლნ აშშ დოლარი და მთლიანი FDI-ს 22.5% შეადგინა. რიგით მეორე სექტორი ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა იყო, რომელშიც 174.7 მლნ აშშ დოლარის FDI განხორციელდა (მთლიანი FDI-ს 14.2%), ხოლო მესამე - ენერგეტიკა, რომელშიც 157.2 მლნ აშშ დოლარის FDI განხორციელდა (მთლიანი FDI-ს 12.8%).

უკანასკნელი ხუთი წლის ჯამური მონაცემების მიხედვით, ჯამურად ყველაზე მეტი ინვესტიცია ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის სექტორში განხორციელდა - 2,321 მლნ აშშ დოლარი (ჯამური მაჩვენებლის 28.4%), ხოლო ყველაზე ნაკლები ინვესტიცია სოფლის მეურნეობის სექტორში - 67 მლნ აშშ დოლარი (ჯამური მაჩვენებლის 0.8%).

სამი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყანა, 2014-2018

2014	2015	2016	2017	2018*
NLD, 20.7%	AZE, 34.9%	AZE, 35.7%	AZE, 24.5%	AZE, 19.5%
AZE, 18.7%	GBR, 23.9%	TUR, 13.4%	NLD, 18.8%	GBR, 16.5%
CHN, 12.1%	NLD, 9.5%	GBR, 6.7%	TUR, 15.2%	NLD, 13.6%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2018 წელს, აზერბაიჯანმა ყველაზე მეტი FDI განახორციელა საქართველოში (240 მლნ აშშ დოლარი; მთლიანი FDI-ს 19.5%). აზერბაიჯანს მოყვება დიდი ბრიტანეთი და ნიდერლანდები, შესაბამისად 203.6 მლნ (16.5%) და 167.8 მლნ (13.6%) აშშ დოლარით. 2014 წლიდან, საქართველოში FDI-ს განმახორციელებელ სამ უმსხვილეს ქვეყანას შორის ყოველთვის გვხდება აზერბაიჯანი.

რაც შეეხება, თურქეთს, რომელიც საქართველოში FDI-ს განმახორციელებელ სამ უმსხვილეს ქვეყანას შორის იყო 2016 - 2017 წლებში, 2018 წლის მონაცემებით, ბოლო პოზიციებზე მყოფ ქვეყნებს შორისაა 11.2 მლნ აშშ დოლარიანი ჯამური გადინებით. ეს ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას 2018 წლის იანვარში Turkcell-ის, თურქეთის წამყვანი მობილური ოპერატორის მიერ საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი მობილური ოპერატორის, ჯეოსელის, 41.5%-იანი წილის გაყიდვით. ეს ტრანზაქცია ასევე ნაწილობრივ ხსნის 2017 წელთან შედარებით, 2018 წელს, დაფიქსირებულ 307.7%-იან კლებას (35.2 მლნ აშშ დოლარიანი ჯამური გადინება) კავშირგაბმულობაში.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების და ჩინეთის წილი, 2014-2018



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გათვალისწინებით, საინტერესოა FDI-ის დინამიკა საქართველოსა და ჩინეთსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის. 2015-2016 წლებში, FDI როგორც ჩინეთიდან, ასევე ევროკავშირიდან უარყოფითი ზრდის ტემპით ხასიათდებოდა (შესაბამისად საშუალოდ -66% და -28% კლება დაფიქსირდა). 2017 წლიდან, FDI-ს მოცულობა ჩინეთიდან იზრდება, მათ შორის 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, 62%-ით გაიზარდა. რაც შეეხება ევროკავშირს, ევროკავშირის ქვეყნების მიერ განხორციელებული FDI 2017 წელს, 2016 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა 92%-ით, ხოლო 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, FDI-ს კლებამ 26% შეადგინა. 2018 წელს, საქართველოში ჩინეთიდან 65.4 მლნ აშშ დოლარის, ხოლო ევროკავშირიდან 569.2 მლნ აშშ დოლარის მოცულობის FDI განხორციელდა.

2018 წელს ჩინეთიდან განხორციელებული FDI-ს წილმა საქართველოს მთლიან FDI-ში 5.3% შეადგინა, ხოლო ევროკავშირის ქვეყნების წილმა - 46.2%. აღსანიშნავია რომ როგორც ჩინეთის, ასევე, ევროკავშირის ქვეყნების წილი საქართველოს FDI-ში 2017 წლიდან იზრდება.

რეინვესტიციები და წილი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში, 2014-2018

	2014	2015	2016	2017	2018*
რეინვესტიციები (მილიონი აშშ დოლარი)	322.8	157.6	334	657.5	558.8
წილი მთლიან პირდაპირ ინვესტიციებში	18%	9%	21%	35%	45%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ცნობილია, 2016 წლის საგადასახადო რეფორმის (ძალაში შევიდა 2017 წლის იანვარში) მიხედვით, რეინვესტიციები გათავისუფლდა მოგების გადასახადისგან, შესაბამისად, მნიშვნელოვანია საქართველოში განხორციელებული FDI-ს ანალიზი კომპონენტების მიხედვით.

2016-2017 წლებში, რეინვესტიციები დადებითი დინამიკით ხასიათდებოდა, ხოლო 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით 15%-ით შემცირდა და 558.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, სააქციო კაპიტალის და სავალო ვალდებულებების მოცულობა შესაბამისად 41% და 153.4%-ით შემცირდა.

2018 წელს რეინვესტიციების წილმა მთლიან FDI-ში 45% შეადგინა, ხოლო სააქციო კაპიტალის წილმა - 57% (სავალო ვალდებულებების მოცულობა უარყოფითი იყო). 2016 წლიდან რეინვესტირების წილი მთლიან FDI-ში იზრდება. რაც შეეხება სააქციო კაპიტალს და სავალო ვალდებულებებს, მათი წილი მთლიან FDI-ში 2017 წლიდან მცირდება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კომპონენტების მიხედვით, 2014-2018



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	2014	2015	2016	2017	2018
ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)	16507.8	13988.1	14377.9	15086.5	16207.1*
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	4438.3	3754.9	3857.3	4046.8	4345.5*
მშპ-ს რეალური ზრდა (%)	4.6%	2.9%	2.8%	4.8%	4.7%*
ინფლაცია	3.1%	4.0%	2.1%	6.0%	2.6%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	1,817.7	1,665.6	1,565.8	1,894.5	1,232.4*
უმუშევრობის დონე (%)	14.6%	14.1%	14.0%	13.9%	12.7%
სახელმწიფო საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი)	4,199.8	4,314.9	4,515.7	5,177.4	5,434
სიღარიბის დონე (ფარდობითი)	21.4%	20.2%	21.0%	22.3%	-

*წინასწარი მონაცემები